ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №64

5 მარტი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, ანა გოგოლაძე, არჩილ გორდულაძე , მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
№11-01240573912 საკრ.№15-03240581-03 27/02/24; №11-0120641053 საკრ.№15-032406435-03 4/03/24

დღის წესრიგი დამტკიცდა.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, წარმოდგენილია საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების წერილობითი მოთხოვნები მათდამი დაქვემდებარებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში კვარტალური ცვლილებბების შესახებ, რაც განპირობებულია ფაქტიურად შესრულებული სამუსაოების დასაფინანსებლად.
კერძოდ იზრდება პირველი კვარტლის გეგმა:
„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 09) – 340 000 ლარით.
„გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 10) – 425 000 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინიდის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 17) -29 800 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 14) -66835 ლარით.
„კეთილმოწყობის სამუსაოები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11)- 360 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 12)- 70 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 14)- 520 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 16) – 220 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 18) – 150 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 19)- 45715 ლარი.
„სპორტული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 08 06 01)- 1 356485 ლარი.
„ახალგაზრდული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 08 08 01)- მეორე კვარტლის გეგმა 200 000 ლარით.
მუნიციპალური ინსპეციის მოთხოვნით იზრდება პროგრამის „უკანონო ნაგებობეის დემონტაჟი“ პირველი კვარტლის გეგმა 85 000 ლარით.
საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 3 902585 ლარით შემდეგი კვარტლების შესაბამისად შემცირებით.დაბალანსება ხდება : იზრდება შემოსავლების გეგმა 768 835 ლარით, ნაშთის ცვლილება 3 133750 ლარით.
ცვლილება ხდება ასევე წლიურ გეგმაში „გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში „ (პროგ/კოდი 01 01 10) საქონელი და მომსახურების მუხლი იზედება 565 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „მიმდინარე ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.
კომისიის წევრების შეკითხვებზე მაია გძელიძემ დეტალურად განმარტა წარმოდგენილ ცვლილებებზე.
შეკითხვების დასრულების შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და მუნიციპალური ინსპექცია ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**